ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ნინო თურმანძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: თამარ შკუბულიანი

კვების დარგში ექსპერტი: ელენე ფიცხელაური

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: გელა გელაშვილი

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**
საფირმო სახელწოდება	*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი*
საიდენტიფიკაციო ნომერი	*437371924*
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)*	*ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღი*
სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)*	
სექტორი	*საჯარო*
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	*სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება*
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	*ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, 9 აპრილის ქ. N6*
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	*ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, ქუჩა ნ. ნიკოლაძე,* *N46*
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)*	

3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐

4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)*	MES 5 25 0000911543 – 24/07/2025 გრძანების ცვლილება MES 3 25 0000957695 – 06/08/2025
ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)*	11–12 აგვისტო

5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ					
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული *"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"*-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	**პროგრამის სახე**[1]	**კურიკულუმ(ებ)ის დასახელება**	**პროგრამის განხორციელების ენა**	**პროგრამის განხორციელების მიდგომა** *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	**თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა**

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში"	ქართული		115
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის N4 საბავშვო ბაღში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11-12 აგვისტოს. დაწესებულებისთვის წინასწარ იყო ცნობილი ვიზიტის დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გამოცხადდა დროულად, ყველა პროცესი წარიმართა გეგმიურად, განსაზღვრული დღის განრიგის შესაბამისად, თანამშრომლობითა და კეთილგანწყობილ გარემოში.

შეფასების პროცესში, ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შეფასებები ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს არ დაემთხვა. დაწესებულებას რიგ საკითხებში წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც რელევანტურია ინდიკატორების მოთხოვნების მიმართ. ადგილზე ვიზიტისას, ინტერვიუს პროცესში, დაწესებულების დირექტორმა გაცილებით უფრო დეტალურად და გასაგებად წარმოაჩინა აღნიშნული გეგმის შესაბამისი აქტივობების განხორციელების ეტაპები, ვიდრე ეს წერილობით წარმოდგენილ გეგმაშია ასახული.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....
.....
.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	**დაწესებულების თვითშეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა) (ადრეული განათლების კურიკულუმი „თ ა მ ა შ ი“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისთვის, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული)		
2. კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

	☐ **არ შეესაბამება**	☐ **არ შეესაბამება**
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. **დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს მისია, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი-დანართი N1 სახით. მისია შემდეგნაირად ჟღერს: „საბავშვო ბაღში შევქმნათ გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი, სადაც აღიარებულია ბავშის უფლებები, ინტერესები და თავისუფალი არჩევანი“.

დაწესებულების მისია შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან. მისია არის მოკლე, მკაფიო, ბავშვის უფლებებზე, ინტერესებზე და გარემოზე ფოკუსირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარმოდგენილია დანართი N1-დოკუმენტის სახით. დაწესებულების ხედვაა:

„2029 წლისთვის ვიყოთ ძლიერი საგანმანათლებლო დაწესებულება, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცით, პროფესიონალიზმზე ორიენტირებული გუნდითა და უწყვეტ თანამშრომლობაზე დაფუძნებული მოტივირებული მშობლებით, თემის წევრებით და სხვა დაინტერესებული მხარეებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას“.

დაწესებულების ღირებულებებია:

„1.ბავშვის განვითარებაზე მორგებული, უსაფრთხო, პოზიტიური გარემოს შექმნა.

2.სიახლეებზე ორიენტირება.

3.თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა.

4.უწყვეტი განვითარება.

5.მშობლებისა და თემის ჩართულობა.

6. ბავშვის, უფლებების, ინტერესების დაცვა კულტურული და გენდერული მახასიათბლების გათვალისწინებით.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს და გამომდინარეობს მისიიდან. ხედვაში ჩანს თუ რა მიმართულებით მიდის დაწესებულება, არის მარტივი და გასაგები, ხედვაში ჩანს, თუ რამდენ ხანში აპირებს დაწესებულება სასურველი მდგომარეობის მიღწევას.

ღირებულებებში გადმოცემულია ის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს დაწესებულება მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას. ჩანს ბაღში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა, რომელთა დაცვითაც მუშაობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის №55.36250801 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი". წესის **მუხლი 2. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპების თანახმად**

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს (ქვეპროცესებს):

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, გაზიარების, პროცესი;
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების/გაზიარების/დამტკიცების პროცესი;
3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
4. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი;
5. სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

დაწესებულებამ სტატუსის მოპოვების პროცედურის დაწყების მიზნით ცენტრის დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის №55.36251631 ბრძანებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც ცენტრისა და ბაღის თანამშრომლებით, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელით. ზემოხსენებულმა სამუშაო ჯგუფმა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებისთვის ჩაატარა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის ამსახველი დოკუმენტი, ოქმი დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულების სახით, დანართი N 23. შეხვედრის დღის წესრიგის შემდეგნაირად გამოიყურება:

1. დაწესებულების მიერ მისია, ხედვა და ღირებულებების მნიშვნელობა და შემუშავება;
2. მისია, ხედვა და ღირებულებების საბოლოო სახით ჩამოყალიბება;
3. მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების ფორმა და ადგილი.

დანართი N23–დან ჩანს, რომ სამუშაო ჯგუფმა შეხვედრისას მოახერხა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შექმნა და დამტკიცება.

რადგან მისია ხედვა და ღირებულებები იქმნება ორგანიზაციისთვის, ორგანიზაცია კი მომსახურებას ახორციელებს რამოდენიმე მისამართზე. ბუნებრივია, რომ ყველა ერთეული ვერ იქნება ჩართული დოკუმენტის შემუშავების პროცესში. უკვე შექმნილი დოკუმენტის პროექტის გაზიარების და მათგან უკუკავშირის მიღების ამსახველი მტკიცებულება არ წარმოუდგენია დაწესებულებას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

მისია, ხედვა და ღირებულებები იქმნება ორგანიზაციისთვის, რომელიც მომსახურებას ახორციელებს რამდენიმე მისამართზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფილიალების რაოდენობა აღემატება ორმოცს, რის გამოც ბუნებრივია, რომ ყველა ერთეული ვერ იქნება ჩართული დოკუმენტის შემუშავების პროცესში. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს უკვე შექმნილი დოკუმენტის პროექტის გაზიარება და დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღება.

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გააზიაროს უკვე შექმნილი მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტის პროექტი, მიიღოს უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან და მის საფუძველზე შეიმუშაოს დოკუმენტის საბოლოო ვერსია.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს თორმეტ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული დასტურდება ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის პერსონალთან მათი გაცნობის ამსახველი 2025 წლის 14 ივნისის N1 ოქმით, ასევე მშობლებთან გამართული შეხვედრის ოქმით, რომელიც თარიღდება 2025 წლის 15 ივნისით. ორივე ოქმი ადგილზე ვიზიტის დროს იყო წარმოდგენილი მტკიცებულების სახით.

საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის ოფიციალურ Facebook-გვერდზე 2025 წლის 14 აპრილს, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც ვიზიტის დროს წარმოადგინა დაწესებულების დირექტორის მოადგილემ. გარდა ამისა, მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის საინფორმაციო დაფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 1.1. ინდიკატორი 1 და 2. - დანართი 1. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (12.06.- ბრძ.№55.36251631), შეხვედრის სხდომის ოქმი (N1, 12.06. 2025 წელი)
2. 1.1. ინდიკატორი 3 და 4 - დანართი 2. სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი და 2025 წლის 21.03. ბრძ. №55.36250801

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 2025 წლის 21 მარტის №55.36250801 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ .

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრულია სტრატეგიული მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილებების პროცედურები და სხვ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა, რომელიც იქნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული. თუმცა, წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს.

დაწესებულებამ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნა, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესში მისი მიზანია:

- საბავშვო ბაღებში ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება;
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ოჯახისა და თემის ჩართულობის გააქტიურება;
- ინკლუზიური განათლების დანერგვა.

სტრატეგიული მიზნების რეალიზება დამოკიდებულია კონკრეტულად განსაზღვრულ ამოცანებზე, რომლებიც მოიცავს:

- საბავშვო ბაღების მშენებლობას;
- შიდა და გარე სივრცეების მოწყობას კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად;
- ბაღების აღჭურვას შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებით;
- ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას;
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნულ დოკუმენტებზე მუშაობა. დაწესებულება გეგმავს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე დაამტკიცოს სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი და უზრუნველყოს მისი შემუშავების პროცესის დასრულება მითითებულ ვადებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რელევანტურია არსებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც იქნება ციკლური და შესაბამისობაში იქნება დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. მისი მიზნები კი თავსებადი იქნება მისიასთან და მიზნების შესაბამის ამოცანებთან.
დაწესებულებამ უზრუნველყოს მითითებულ ვადებში ნაკისრი ვალდებულების აღმოფხვრა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა, რომელიც იქნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული. თუმცა, წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს.

დაწესებულება განაცხადში წერს, რომ სამოქმედო გეგმა ერთწლიანი იქნება და დაემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიული მიზნების განხორციელებას, ხოლო მისი შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება დაწესებულების ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით პროცესი დასრულდება განსაზღვრულ ვადებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად დროულად შეიმუშავოს და დაამტკიცოს სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ითვალისწინებს დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას.
დაწესებულებამ უზრუნველყოს მითითებულ ვადებში ნაკისრი ვალდებულების აღმოფხვრა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა. თუმცა, წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული გეგმის შესაბამისად დროულად შეიმუშაოს და დაამტკიცოს სამოქმედო გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის დროული შემუშავება და დამტკიცება, რომელიც სრულად მოიცავს ინდიკატორის ყველა კომპონენტს: აქტივობები იყოს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობაში, განსაზღვრული ჰქონდეს მათი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები, ასევე შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფა რეალისტურად არის დაგეგმილი.
დაწესებულებამ უზრუნველყოს მითითებულ ვადებში ნაკისრი ვალდებულების აღმოფხვრა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 2025 წლის 21 მარტის №55.36250801 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ .

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ: შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს.
გამომდინარე იქედან, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა დაწესებულებას არ აქვს დამტკიცებული და ამ მიმართულებით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
ამავე წესის (მუხლი 13, მე-4 პუნქტი) მიხედვით, დაწესებულება განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად. თუმცა ამ ეტაპზე სამოქმედო გეგმა დაწესებულებას არ აქვს დამტკიცებული, შესაბამისად ვერ განხორციელდება სამოქმედო გეგმის მონიტორინგი.
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობობის გეგმის შასაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება და ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 2025 წლის 21 მარტის №55.36250801 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ს თანახმად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების უზრუნველყოფა.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დროული შემუშავება და დამტკიცება, ასევე ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 2025 წლის 21 მარტის №55.36250801 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მოთხოვნათა შესრულება, რაც გულისხმობს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას განსაზღვრული პერიოდულობით (შუალედური და საბოლოო ეტაპები) და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის უზრუნველყოფას კვარტალურად, ხოლო შეფასების განხორციელებას ყოველწლიურად.
დაწესებულებამ უზრუნველყოს მითითებულ ვადებში ნაკისრი ვალდებულების აღმოფხვრა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ გააჩნია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულია მათი შემუშავება 12 თვის ვადაში. აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, დაწესებულებას არ აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომი და გამოყენებული დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი ფორმით, საჯაროდ გამოქვეყნებული და გამოყენებული დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის.
დაწესებულებამ უზრუნველყოს მითითებულ ვადებში ნაკისრი ვალდებულების აღმოფხვრა.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. 1.2. ინდიკატორი 1. - დანართი 3. სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი, 2025 წლის 21.03. ბრძ. N№55.36250801
2. 1.2. ინდიკატორი 2.3. – დანართი 20 - N4 საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი

პროგრამის სახე:

- **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა**

კურიკულუმის დასახელება:

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, თბილისი, 2020

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი II, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, თბილისი, 2020

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" - აღმზრდელის სახელმძღვანელო, თბილისი,2015

სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია) თბილისი, 2015

სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი II (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა) თბილისი, 2016

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. **პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბრძანების (№55.36251632, 12.06.2025) თანახმად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ფილიალებისათვის დამტკიცებულია შემდეგი კურიკულუმები:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში”

(ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ბრძანება(№55.36251632, 12.06.2025). ბრძანების დანართებში წარმოდგენილია:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" -ნაწილი I, მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, თბილისი, 2020 (დანართი №4.1)
- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" -ნაწილი II, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, თბილისი, 2020 (დანართი №4.2)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" - აღმზრდელის სახელმძღვანელო, თბილისი,2015 (დანართი №4.3)

დაწესებულებას კურიკულუმების დამტკიცების შესახებ ბრძანების დანართში არ აქვს წარმოდგენილი:

- სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია)
- სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი II (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა)

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის ბრძანება №55.36251701, თარიღი:19/06.2025) „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესის" დამტკიცების შესახებ. დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის შერჩევის, დამტკიცებისა და შეფასება-განვითარების წესი და პროცედურები. აღნიშნულ წესში მითითებულია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის და გაცნობის პროცედურები. დაწესებულებამ წარმოადგინა ზემოთ აღნიშნული ჯგუფის სახელობით დამტკიცებული სია (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბრძანება (№55.36251631, 12/06.2025). ასევე, ხსენებული ჯგუფის მიერ კურიკულუმების შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები. კერძოდ, მტკიცებულებად წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი №2 (18/06/2025).

აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება (№55.36251632, 12.06.2025) წინ უსწრებს:

1. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას (ოქმი №2, 18/06/2025)
2. „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესის" დამტკიცებას (ბრძანება №55.36251701, 19/06.2025)

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. კურიკულუმის შერჩევის პროცესის ფორმალიზება: უზრუნველყოს კურიკულუმის შერჩევის პროცესის თანმიმდევრული ფორმალიზება და დოკუმენტური დასაბუთება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესის" შესაბამისად.

2. მარეგულირებელი წესის წინასწარ დამტკიცება: უზრუნველყოს „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესის" დამტკიცება კურიკულუმის შერჩევის პროცესის დაწყებამდე.

3. სამუშაო ჯგუფის წინასწარ ჩამოყალიბება: კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრა კურიკულუმების შერჩევის პროცესის დაწყებამდე.

4. კურიკულუმის სრული დოკუმენტირება: (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა უზრუნველყოს კურიკულუმის - სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაშის" დამტკიცების შესახებ ბრძანების დანართში შემდეგი კომპონენტების დამატება:

- სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია)
- სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი II (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა)

5. საგანმანათლებლო პერსონალის კომპეტენციების ასამაღლებლად უზრუნველყოფილ იქნეს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების, ასევე ახალი კურიკულუმის „თამაში" ტრენინგების ჩატარება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ აქტივობებს ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისთვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

აღნიშნული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება შემდეგში: შერჩეული კურიკულუმი ხელს უწყობს ბავშვებში სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული კომპეტენციების ცოდნის, უნარების, ღირებულებების ჩამოყალიბებას, მათ ჰოლისტურ, მრავალმხრივ განვითარებას. მოიცავს განვითარების ხუთივე სფეროს: მოტორულ, ენობრივ-კომუნიკაციურ, სოციალურ-ემოციურ,შემეცნებით, ადაპტურ და თემატურ მიმართულებებს - მეცნიერება, წიგნიერება, ხელოვნება.

ადრეული განათლების კურიკულუმი -"თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის ორ მთავარ მიზანს გამოყოფს, ჯგუფის ერთობასა და კვლევა -აღმოჩენას, რაც სრულად მოიცავს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას და ფარავს ბავშვის განვითარების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაშის" მიზნებია განუვითაროს ბავშვს მომავალი

ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები; დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში; ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს; მოამზადოს სკოლისთვის და შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც უზრუნველყოფს თითოეული მათგანის ინდივიდუალიზმის გათვალისწინებით ჩართვას საგანმანათლებლო აქტივობებში; ასევე, ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანმშრომლობას და მათ ჩართულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმი ეფუძნება თამაშს. თამაში კურიკულუმის ცენტრალური ღერძია და საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციების წარმართვის ძირითადი საშუალება. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, აქვს სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვან თამაშებში ჩართვის საშუალება მათ შორის შიდა და გარე სივრცეში. კერძოდ: სენსორული თამაშები, დრამატული/წარმოსახვითი, მოძრავი, კონსტრუქციული, ჭუჭყიანი თამაშები, რისკიანი თამაშები, კვლევითი და შემოქმედებითი, წესებიანი, მანიპულაციური, სამაგიდო თამაშები და ა.შ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ბავშვების მიერ ინიცირებულ თამაშებს, აღმზრდელების მიერ დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობები თამაშის ელემენტებით განხორციელდება.

გარემოში არსებობს მრავალფეროვანი სათამაშო სივრცეები, სადაც ბავშვებს ეძლევა საშუალება სრულად ჩაერთონ თამაშში მათი ძლიერი მხარეებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აქტივობები ხასიათდება ბავშვის სურვილზე დაფუძნებული და პროცესზე ორიენტირებული მიდგომით.

კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც ვლინდება შემდეგში: ბავშვი არის "კომპეტენტური, აქტიური და შემოქმედებითი პიროვნება". ბავშვს აქვს წამყვანი როლი ინტერესებისა და აქტივობების განსაზღვრაში. მას აქვს არჩევანის უფლება სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვისას. თავისუფლად სვამს შეკითხვებს, ეძებს პასუხებს და აქტიურად იკვლევს გარემოს. აღმზრდელები ასრულებენ გზამკვლევისა და მხარდამჭერის როლს. ბავშვები ჩართულები არიან დაგეგმვის პროცესში. მათი ინტერესების გათვალისწინებით აღმზრდელები ცვლიან სივრცეებს, გეგმებს და ამრავალფეროვნებენ რესურსებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას:

კურიკულუმი სრულად აკმაყოფილებს ოჯახისა და თემის ჩართულობის ინდიკატორს. უზრუნველყოფილია მშობლების უწყვეტი მონაწილეობა საგანმანათლებლო პროცესში სხვადასხვა როლით - მოხალისის, ექსპერტის და დამხმარის სახით. ითვალისწინებს რეგულარულ შეხვედრებს, მშობლების განათლებას ადრეული აღზრდის საკითხებზე და მათი უკუკავშირის გათვალისწინებას კურიკულუმის გაუმჯობესებაში. თემთან

თანამშრომლობა ვლინდება ადგილობრივი რესურსების გამოყენებითა და თემის წარმომადგენლების ჩართვით. ამით უზრუნველყოფილია პოზიტიური პარტნიორობა ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რომელიც მოიცავს თამაშებს, აქტივობებს, საუბარს, წიგნებთან ურთიერთობას, მოსმენას, დაკვირვებას, კვლევა-აღმოჩენას, ექსპერიმენტირებას და შემოქმედებით საქმიანობებს. მრავალფეროვანი მასალების გამოყენება განხორციელდება ბავშვების ასაკის, ინდივიდუალური მახასიათებლების, ინტერესების, ძლიერი მხარეების, საჭიროებების, სწავლის სტილისა და განვითარების გათვალისწინებით.

თამაშის ტიპების მრავალფეროვნება: კურიკულუმი უზრუნველყოფს განსხვავებული ტიპის თამაშებს და საქმიანობებს: სენსორულ თამაშებს, დრამატულ/წარმოსახვით თამაშებს, კვლევით, მანიპულაციურ, კონსტრუქციულ, ჭუჭყიან, სამაგიდო, მოძრავ, რისკიან, კულინარიულ თამაშებს და სხვა. სათამაშო სივრცეების ორგანიზება: დაწესებულებაში ორგანიზებულია სხვადასხვა ტიპის სათამაშო სივრცეები: ხელოვნების სივრცე, კვლევებისა და მეცნიერების სივრცე, სენსორული სივრცე, კუბურებისა და კონსტრუქციული სივრცე, წიგნიერებისა და წყნარი/განმარტოების სივრცე, დრამატული სივრცე და სხვა.

შიდა და გარე სივრცეების მრავალფეროვნება: გარე სივრცეები მოიცავს საქვიშეს, ტალახის სამზარეულოს, სასრიალოს, საძრომიალოს, საქანელებს და განმარტოების სივრცეებს. დარბაზი აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტებით, ფიზიკური და სენსორული სათამაშოებით. ფიზიკური გარემო ორგანიზებულია უნივერსალური დიზაინის პრინციპებისა და ბავშვის განვითარების გათვალისწინებით. ავეჯი შესაბამისია ბავშვის სიმაღლის, რესურსები ადვილად ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. გამოიყენება ღია და ბუნებრივი რესურსები, რაც ხელს უწყობს ბავშვის შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებას.

დაწესებულებაში ორგანიზებულია მცენარეების ბაღი/ბოსტანი, სადაც ბავშვები თავად დარგავენ მცენარეებს და ზრუნავენ მათზე. ასევე, განხორციელდება კულინარიული თამაშები რეალური საკვები პროდუქტების გამოყენებით, სადაც ბავშვები ამზადებენ სხვადასხვა კერძებს და ტკბილეულებს. კურიკულუმი უზრუნველყოფს მრავალფეროვანი, ასაკისა და განვითარების შესაბამისი საქმიანობების შეთავაზებას, რაც ხელს უწყობს ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას და მაღალ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

. დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი (ბრძანება №ბ55.36251701. 19/06/2025). ზემოთაღნიშნული წესი ითვალისწინებს კურიკულუმის გაზიარებას მშობლებთან და თემთან/მუნიციპალიტეტთან.

ასევე, გაზიარება გათვალისწინებულია ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესით (№ბ55.36251702 ბრძანება; 19.06.2025) სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. აღნიშნულია, რომ ბაღი გამოიყენებს კურიკულუმის გასაზიარებლად შეხვედრებს მშობლებთან „ღია

კარის დღეს". დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევისა და დანერგვის შესაბამისი ოქმები: ოქმი №2 (29.09.24) თანდართული ხელმოწერებით და ფოტო მასალით. ოქმი №4 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის თანამშრომელთა და მშობელთა საერთო კრება (თარიღი: 5.04.2025). საბავშვო ბაღში მეთოდისტის მიერ დაწესებულია მეთოდური კათედრის სხდომები საგანმანათლებლო პერსონალთან, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდური საკითხების განხილვა, რაც დასტურდება წარმოდგენილი შეხვედრების ოქმებით (16.06.2025, 26.06.2025).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში (ბრძანება №ბ55.36251704; 19.06.2025) გათვალისწინებული და გაწერილია კურიკულუმისა და კურიკულუმის მიზნების გაზიარება დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ კურიკულუმის გაზიარება მოხდეს როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ასევე, კურიკულუმი განთავსდეს და გაზიარდეს დაწესებულების სოციალურ გვერდზე. ბაღში გამოიყოს ოთახი, სადაც საგანმანათლებლო პერსონალისთვის მოეწყობა საერთო შეხვედრების სივრცე, კურიკულუმის შესაბამის მეთოდოლოგიურ დოკუმენტაციაზე, არასაკონტაქტო საათებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, თბილისი, 2020

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი II, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, თბილისი, 2020

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" - აღმზრდელის სახელმძღვანელო, თბილისი,2015

2. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“- ბრძანება №55.36251701. 19/06.2025

3. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ს/ნ.437371924) მმართველობის სფეროში შემავალ ფილიალებში (საბავშვო ბაღი) კურიკულუმის შეჩევისა და დანერგვის შესახებ ბრძანება №55.36251632. 12/06/2025.

4. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესი “(ბრძანება №55.36251702; 19.06.2025)

5. ქალაქ ოზურგეთის № 4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება №55.36251704; 19/06/2025)

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

2.1 კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

(ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება №ბ55.36251703; 19.06.2025). ბრძანების მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში - გეგმა/გეგმები).

2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი წლიური და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

3. გრძელვადიანი გეგმები იქმნება გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი.

4. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვებთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

5. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბრძანება №55.36251703/1; 19.06.2025; საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით სრულყოფილად წარმართვისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ) და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი; დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

ადგილზე ვიზიტის დროს დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მეთოდისტისა და აღმზრდელების მიერ წარმოებული გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმები, რომლებიც შედგენილია დამტკიცებული მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის ბრძანება №55/6 (25.06.2025) გრძელვადიანი გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025), აღნიშნული წესის შესაბამისად, გრძელვადიანი გეგმები იქმნება ცენტრის დირექტორის ბრძანებით №55/6 (თარიღი: 25.06.2025) დამტკიცებული გრძელვადიანი გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან

საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. ასევე, (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების ფორმები (ბრძანება №55.36251703/1, 19.06.2025) მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშაუალოდ მუშაობს ბავშვებთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

ადგილზე ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები მოკლევადიანი გეგმების თანამონაწილეობითი შედგენის პროცესის ამსახველი, ფოტო სურათები,ოქმი (თარიღი: 23.06.2025)

ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა, რომელიც ბაღის საგანმანათლებლო პერსონალის თანამონაწილეობით არის შედგენილი, გეგმას ერთვის ხელმოწერები. (თარიღი: 20.06.2025)

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

თანამონაწილეობითი დაგეგმვის ეფექტიანად წარმართვისთვის, სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და განსაზღვროს შეხვედრების კონკრეტული დროები. კერძოდ, დაადგინოს, თუ რომელი საგანმანათლებლო პერსონალი ჩაანაცვლებს ჯგუფში აღმზრდელებს, ჯგუფიდან გამოსვლის და დოკუმენტაციაზე მუშაობის დროს.ორგანიზებულად გაანაწილოს არასაკონტაქტო დრო - შესაძლოა განისაზღვროს კვირაში 3

საათი და მონაცვლეობით განაწილდეს ისე, რომ ყველა ჯგუფიდან (პირველი და მეორე ცვლის აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის აღმზრდელი და საჭიროების მიხედვით - მეთოდისტი და სპეციალური განათლების პედაგოგი) შეძლონ ერთობლივად იმუშაონ დოკუმენტაციაზე.

ასევე, მნიშვნელოვანია შესაბამისი ფიზიკური სივრცის მოწყობა. დაწესებულებამ უნდა გამოყოს ან მოაწყოს საგანმანათლებლო პერსონალისთვის საერთო შეხვედრების სივრცე ე.წ. სამასწავლებლო, რომელიც იქნება აღჭურვილი საჭირო ინვენტარითა და რესურსებით, გარემო კოლაბორაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს პროდუქტიულ მუშაობას, სადაც საგანმანათლებლო პერსონალი ერთობლივად, თანამონაწილეობით იმუშავებს დოკუმენტაციაზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი"-ს (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025) თანახმად, საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში, ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღში, იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები
- აღმზრდელის პორტფოლიო

- მეთოდისტის პორტფოლიო
- მუსიკის აღმზრდელის პორტფოლიო
- სპეციალური განათლების პედაგოგის პორტფოლიო
- ლოგოპედის პორტფოლიო
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები
- ბავშვის განვითარების ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმები
- რეფლექსიური ჩანაწერები
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებს, რაც ვლინდება დღის განრიგში გათვალისწინებული ჯგუფის საჭიროებებით. საჭიროებისამებრ გადანაწილებულია და დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ, დაგეგმილ აქტივობებსა და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებს შორის, მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის ინტერესებს, რაც ვლინდება აღმზრდელის პორტფოლიოში მოცემულ გრძელ და მოკლევადიან გეგმებში, რომლებიც შედგენილია მარეგულირებელი წესის მიხედვით და თანხვედრაშია კურიკულუმთან. აღმზრდელებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროცესის ინდივიდუალიზება განხორციელდება როგორც ინდივიდუალური საჭიროებების, ასევე ჯგუფური თავისებურებების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი"-ს (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025) თანახმად, საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი

- აღმზრდელის პორტფოლიო
- მეთოდისტის პორტფოლიო
- მუსიკის აღმზრდელის პორტფოლიო
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები
- გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური განვითარების გეგმები
- რეფლექსიური ჩანაწერები
- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის ბრძანება № 55.36251703/1, 19.06.2025 წ. საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ.

ასევე, ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის ფორმა დამტკიცებულია ბრძანებით N№55/7 (თარიღი: 25.06.2025). დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ვლინდება შემდეგში: გეგმებში წარმოდგენილი აქტივობები შედგენილია დამტკიცებული მარეგულირებელი წესის მიხედვით, შესაბამისობაშია კურიკულუმთან, ითვალისწინებს ინდივიდუალიზაციას და მორგებულ იქნება კონკრეტული ბავშვების საჭიროებებზე.

კურიკულუმის გათვალისწინებით, აღმზრდელები განახორციელებენ დაკვირვებას და შეფასებას, რომელიც აისახება დოკუმენტაციაში მარეგულირებელი წესის შესაბამისად. თითოეული ბავშვისთვის შეიქმნება ინდივიდუალური პორტფოლიო, რომელიც მოიცავს დაკვირვების ჩანაწერებს, შეფასებებსა და ბავშვის ნამუშევრებს. დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვის შემთხვევაში,

მულტიდისციპლინური გუნდი (აღმზრდელი, სპეციალური განათლების პედაგოგი, მეთოდისტი) შეიმუშავებს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმას. საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებულ იქნება სწავლებისა და მხარდაჭერის ინდივიდუალიზებული მიდგომები, რომლებიც ადაპტირებულ იქნება კონკრეტული ბავშვების საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ეს უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს და თითოეული ბავშვის ოპტიმალურ განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში და თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება გეგმებსა და ინტერვიუებში. საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვები ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მამოტივირებელ გარემოში. როგორც მცირე, ასევე დიდი ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხიც არის თამაში და თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ ბავშვების სივრციდან სივრცეში გადასვლა (მაგ. ოთახიდან ეზოში, ოთახიდან დარბაზში, რუტინებზე გადართვა) წარიმართება თამაშით. აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა წარიმართება სიმღერით, სიტყვიერი გათამაშებით, მოძრაობითი იმიტაციით ან თამაშით. აქტივობების ან ტრანზიციის დროს ხდება ინტონაციის, სახის მიმიკის და ჟესტიკულაციის გამოყენება. რუტინული აქტივობების დროს გამოიყენება სახალისო სიმღერები, გათვლები, გამოცანები და ხელის თოჯინები. ეს ყოველივე დასტურდება აღმზრდელებთან ინტერვიუებით, გარემოს ვიზუალური დათვალიერებით და კურიკულუმის თამაშზე დაფუძნებული მიდგომით. დაწესებულება გეგმავს, რომ დაგეგმილი აქტივობებიდან მეტად გადაერთოს თამაშზე და დააბალანსოს ბავშვის მიერ ინიცირებული თამაშები და აღმზრდელის მიერ დაგეგმილი აქტივობები, რაც გამოიკვეთა ინტერვიუების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ექნება სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო და წესებიანი, მოძრავი, მანიპულაციური თამაშები, კონსტრუქციული, რისკიანი თამაშები. რაც ვლინდება როგორც აღმზრდელის ინტერვიუში მოყვანილ მაგალითებში, ასევე ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჯგუფებსა და ეზოში არსებული რესურსით. ვიზუალური განრიგით, მოკლევადიან გეგმებში, სადაც წარმოდგენილია მრავალფეროვანი და ბავშვების ასაკის შესაბამისი თამაშები და საქმიანობები. გეგმებში წარმოდგენილი ტრანზიციები, რუტინები, დილის/საღამოს წრე მოიცავს თამაშის ელემენტებს. ასევე, გეგმაში წარმოდგენილია ინდივიდუალიზაცია, განსხვავებული მრავალფეროვანი რესურსების მომზადება, გამოწვევების/"პროვოკაციების" შექმნა, რათა განსხვავებულად, თავისი ინიციატივით გამოიყენონ ბავშვებმა თამაშებში.

2. ფიზიკური გარემოს ვიზუალური დათვალიერებით იკვეთება, რომ ბავშვებს აქვთ ეზოში თავისუფალი და ორგანიზებული სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. ეს დადასტურებულია პერსონალის ინტერვიუებითაც. დაწესებულების გარე სივრცეში არის სასრიალო, საძრომიალო მოწყობილობა. ეზოში გამოყოფილია ადგილები მოძრავი/სენსორული თამაშებისათვის, არის სენსორული ბილიკი, ერთი საქვიშე, ორი საქანელა, დრამატული თამაშების სივრცე, მაგიდა და სკამები. საბავშვო ბაღში არის დარბაზი, სადაც ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა დახარჯონ ენერგია. არის სივრცე მოძრავი თამაშებისთვის, ხის 20 სმ სიმაღლის სკამ-ბილიკები ბალანსისა და წონასწორობის თამაშებისთვის, არის მუსიკალური ინსტრუმენტები. დაწესებულებაში ჯგუფის სიდიდე და ბავშვების რაოდენობა

გათვალისწინებულია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აქტიური (როლური და სენსორული), პასიური (სამაგიდო), მცირე (3-5 ბავშვიანი) და დიდ ჯგუფურ (ნახევარი ან მთელი ჯგუფი ერთად), ასევე დასვენების (კითხვა, წამოწოლა, ძილი) და განმარტოების (წყნარი სივრცე, კარავი) შესაძლებლობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს ეზოს სივრცის მეტად ფუნქციურად ათვისება და სათამაშო სივრცეების გამრავალფეროვნება. კერძოდ, ბავშვებთან ერთად გააშენონ ბოსტანი ან ბაღი, მოაწყონ სახელოსნო ან ხელოვნების სივრცე. თითოეული სივრცისთვის უზრუნველყონ შესაბამისი რესურსები და მასალები (მაგალითად, ბოსტნისთვის - მიწაზე სამუშაოს იარაღები). საჭიროა ეზოს ნაწილის მოხატვა მიმართულების მიმცემი ბილიკებით და ლაბირინთებით, განმავითარებელი იქნება ბავშვებისთვის და ასევე, წაახალისებს სხვადასხვა ტიპის თამაშებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025). მექანიზმში აღწერილია პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების შეუფერხებელ მიწოდებას. კერძოდ, მასში ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების საკვანძო პრინციპები:

- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა
- ყველა ბავშვისათვის საკმარისი, მრავალფეროვანი რესურსების უზრუნველყოფა
- კურიკულუმის შესაბამისი ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფა

ზემოთ აღნიშნული ბრძანებით, საგანმანათლებლო პერსონალმა უნდა განსაზღვროს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც წარედგინება ცენტრის დირექტორს და კურიკულუმთან ერთად დამტკიცდება.

- დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება (წარმოადგინა მხოლოდ საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური რაოდენობის სარეკომენდაციო ჩამონათვალი)

წარმოდგენილი საინვენტარიზაციო აღწერა (2025 წლის 11 თებერვლით) არ შეესაბამება დაწესებულებაში რეალურად არსებულ მდგომარეობას და ასევე ვერ დგინდება შესაბამისობა ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- ს შესაბამისად რესურსების შეუფერხებლად მიწოდება.
- საგანმანათლებლო რესურსი უნდა იყოს ბავშვთა რაოდენობის შესაბამისად გათვალისწინებული.
- დაწესებულებამ, შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად უნდა განსაზღვროს ბავშვზე/ჯგუფზე საჭირო საგანმანათლებლო რესურსის ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დოკუმენტაცია, რომელიც თითოეული ეტაპის თანმიმდევრულ განხორციელებას მკაფიოდ წარმოაჩენს.
- ჩატარდეს ინვენტარიზაცია დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსის, განისაზღვროს საჭირო რესურსები ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და შეიქმნას რესურსების შევსების გეგმა პრიორიტეტების მიხედვით.
- მნიშვნელოვანია რესურსების უწყვეტად რეგულარული მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რესურსების განახლებისა და შევსების ვადებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა.

რჩევა

დაწესებულებამ შეადგინოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა და წარუდგინოს (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორს დასამტკიცებლად. შემდგომ გაიცეს ნუსხის დამტკიცების შესახებ ოფიციალური ბრძანება.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ აქტივობებს ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი", რომელიც დამტკიცდა ბრძანებით №ბ55.36251703 2025 წლის 19 ივნისს.

მექანიზმში არის გაწერილი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ძირითადი პრინციპები:

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკის უზრუნველყოფა;
2. ყველა ბავშვისათვის საკმარისი და მრავალფეროვანი რესურსის არსებობის უზრუნველყოფა;
3. კურიკულუმის შესაბამისი ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფა;
4. ბავშვის რეგულარული შეფასება დაკვირვებისა და ოჯახების ჩართულობის საფუძველზე;
5. შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ან ცვლილების განხორციელება.

წესით განისაზღვრება, რომ საგანმანათლებლო რესურსი უნდა შეესაბამებოდეს შერჩეულ კურიკულუმს, მოიცავდეს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს, ეფუძნებოდეს მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს და ითვალისწინებდეს ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს.

დაწესებულებას აქვს საერთო ჯგუფური სივრცე ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით, ეზოს ფართი შესაბამისია. მატერიალურ რესურსებთან, კერძოდ სტანდარტით განსაზღვრული ზომის ავეჯთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

დაწესებულებამ პროგრამის მიხედვით მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრულ რაოდენობად 115 განსაზღვრა, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა რელევანტური ინვენტარიზაციის დოკუმენტი, სადაც დაზუსტებული იქნება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საჭირო საგანმანათლებლო რესურსები და განსაზღვრული რესურსი აისახება დაწესებულების ბალანსზე.

კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა უნდა ხორციელდებოდეს და მტკიცდებოდეს (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი მუნიციპალიტეტის მიერ №4-ე საბავშვო ბაღზე გადაცემული საბავშვო წიგნების ჩამონათვალით. წიგნების რაოდენობა შეადგენს 34 ერთეულს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის, რომელიც თარიღდება 2025 წლის 2 აპრილით. ასევე წარმოადგინა წიგნების თანამშრომლებზე გაცემისა და აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც შედგენილია საბავშვო ბაღში არსებული ბიბლიოთეკის ფონდის ბაზაზე.

ადგილზე ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პერსონალის, კერძოდ აღმზრდელების მიერ დაწერილი „მოთხოვნის ფურცელი" ფილიალის მენეჯერისადმი. თუმცა შემდგომი ნაბიჯები და ბავშვთა ზღვრული რაოდენობისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი არ იკვეთება რაოდენობრივი გათვალისწინების თვალსაზრისით.

ასევე, წარმოდგენილია საინვენტარიზაციო აღწერა, რომელიც თარიღდება 2025 წლის 11 თებერვლით. წესის თანახმად, გათვალისწინებულია, რომ საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება უნდა ხორციელდებოდეს წელიწადში

ორჯერ ინვენტარიზაციის გზით. ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ბუნებრივი და მეორადი მასალა. თუმცა, არსებული რესურსი არ არის საკმარისი ბავშვთა ზღვრული რაოდენობისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია:

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი"-ში გაწერილის განხორციელება.

- დაწესებულებაში რესურსების მიწოდების მთლიანი ჯაჭვის სქემის/პროცესის შექმნა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ რესურსზე საჭიროების იდენტიფიცირებიდან მის საგანმანათლებლო პერსონალთან მიწოდებამდე ყველა ეტაპს;
- რელევანტური ინვენტარიზაციის დოკუმენტის წარმოდგენა, სადაც დაზუსტებული იქნება მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საჭირო საგანმანათლებლო რესურსები;
- კურიკულუმის საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
- რესურსების ჩამონათვალის დაწესებულებაში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ბავშვთა ზღვრული რაოდენობისთვის საკმარისი რესურსის უზრუნველყოფა;
- მოთხოვნის ფურცლის წარმოდგენის შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა რაოდენობრივი გათვალისწინების თვალსაზრისით;
- საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის პრაქტიკული განხორციელება დამტკიცებული წესის შესაბამისად

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ აქტივობებს ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ფიზიკური გარემო უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ პასუხობდეს ბავშვის განვითარების სტანდარტს, პროგრამის ხარისხის სტანდარტსა და კურიკულუმის მიზნებს. გარემო ისე უნდა იყოს აღჭურვილი მასალით, რომ ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, წაახალისოს კვლევა და შემოქმედებითობა, შეუწყოს ხელი სოციალიზაციას, განუვითაროს ემოციური კომპეტენციები, გაუსვას ხაზი ჯგუფის ერთობას და წაახალისოს ბავშვებს შორის თანამშრომლობა.

სივრცე უნდა იყოს მოწყობილი უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. გარემო უნდა იყოს სამართლიანად გამოყენებადი და თანაბრად ხელმისაწვდომი სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე

ბავშვებისთვის. სივრცეები უნდა იძლეოდეს გადაკეთების საშუალებას ინდივიდუალური თუ ჯგუფური საჭიროების გათვალისწინებით და იყოს მარტივად აღქმადი. ვიზუალური განრიგი, თვალსაჩინოება და მიმართულების მიმცემი ელემენტები უნდა იყოს ადვილად გასაგები. სივრცეები უნდა იყოს ბავშვების სიმაღლეზე განთავსებული და მკაფიოდ გამიჯნული. გარემოში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი შემთხვევითი ან გაუთვალისწინებელი ქმედებებით გამოწვეული საფრთხეები. რესურსები უნდა განთავსდეს ბავშვის სიმაღლეზე, მასალები იყოს მარტივად ხელმისაწვდომი და ადვილად გამოყენებადი.

სივრცე უნდა იყოს ორგანიზებული სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად, აღჭურვილი ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. კურიკულუმის მიხედვით უნდა არსებობდეს მრავალფეროვანი სივრცეები მრავალგვარი მასალით დატვირთული, რათა ყველა ბავშვმა შეძლოს თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ჩართვა პროცესებში. სუფთა და ჭუჭყიანი, აქტიური და პასიური ცენტრები უნდა განაწილდეს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს ერთმანეთს. სივრცე უნდა იყოს მორგებული ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, უზრუნველყოფდეს თავისუფალ, ინიციატივაზე დაფუძნებულ თამაშსა და მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობას როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში.

კურიკულუმის შესაბამისად, გარე სივრცეც უნდა იყოს მყუდრო ეზო, რომელიც დაყოფილია სხვადასხვა სივრცეებად და ბავშვებს უქმნის მრავალფეროვანი თამაშების შესაძლებლობებს. როგორც შიდა, ისე გარე სივრცე უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის ჰოლისტურ და მრავალმხრივ განვითარების შესაძლებლობას.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულების შიდა და გარე სივრცის ვიზუალური დათვალიერებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ეტაპობრივად ნერგავს ახალ კურიკულუმს. ოთახების კედლები ნეიტრალური ფერისაა. ჯგუფებში არსებული ავეჯი ფერადია და საჭიროებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების გათვალისწინებით დამაგრებულია იატაკზე ან კედელზე. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ იძლევა მოქნილობის საშუალებას. (მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს საკმარისი სტანდარტით განსაზღვრული ზომის შესაბამისი საბავშვო ავეჯი.) კედელზე განთავსებული მასალა ფუნქციურია და ხელს უწყობს ნაწერისადმი/ნაბეჭდისადმი დაინტერესებას (მაგ.: დღის ვიზუალური განრიგი, ბავშვების ნამუშევრები).

გასათვალისწინებელია, რომ ვიზუალური მასალები განთავსდეს ბავშვების სიმაღლეზე. ასევე, ვიზუალური მანიშნებლები და მიმართულების მიმცემი ნიშნები როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში არ არის საკმარისი.

დაწესებულებაში ჯგუფური ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად. ძირითადი სივრცეებია: ხელოვნების სივრცე, სენსორული სივრცე, მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების სივრცე, განმარტოების სივრცე, სამეცნიერო სივრცე, კულინარიის ცენტრი, საოჯახო ცენტრი, თავისუფალი სივრცე და კუბურების ცენტრი. ჯგუფის სივრცეებს აქვს ვიზუალური სიმბოლოები ნახატითა და წარწერით. ჯგუფური ოთახები მოწყობილია ისე, რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა.

ჯგუფის რესურსების უმეტესობა ღია და ბუნებრივია, ორგანიზებულად განლაგებულია კონტეინერებში, კალათებში, ღია თაროებზე და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია. ქარხნული რესურსი შედარებით მწირია. ჯგუფური ოთახების შესასვლელ ოთახში არის ბაღის და სახლის დიდი ზომის სურათი, სადაც ბავშვები საკუთარ ფოტოებს მოსვლა-წასვლის დროს გადაანაცვლებენ შესაბამის სურათზე. მოწყობილია ბავშვის პირადი ნივთებისთვის კარადები ფოტოებითა და სახელებით. კედელზე გაკეთებულია მშობლებისთვის საინფორმაციო კუთხე.

გარე სივრცეში, ეზოში არის მოძრავი თამაშებისთვის სასრიალო, ორი საქანელა, საძრომიალო, სენსორული ბილიკი, დრამატული თამაშების სივრცე და საქვიშე. არის საჩრდილობელი, მაგიდები, სკამები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმი ჰოლისტურია და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, საბავშვო ბაღში ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა რესურსი სხვადასხვა თემის ირგვლივ ორგანიზებული მზა და ღია მასალა (ბუნებრივი და მეორადი), იმისთვის რომ აღმზრდელმა სწრაფი რეაგირება მოახდინოს ბავშვების ინტერესებზე, შეძლოს კურიკულუმის მიზნებზე გასვლა, რისი მეშვეობითაც ხელს შეუწყობს ბავშვის სწავლასა და კეთილდღეობას. ჯგუფურ ოთახებში რესურსების შესაბამისობა ვლინდება: ოთახის მრავალფეროვან სივრცეებად დაყოფაში და შესაბამისი ღია რესურსების განთავსებით. ყველა ასაკის ბავშვისთვის საინტერესო და მიმზიდველი მიდგომით: უმცროსებისთვის ქვედა, უფროსებისთვის ზედა თაროზე განთავსებული რესურსებით. მეორადი და ბუნებრივი მასალების ინტეგრაციით. გარე სივრცის რესურსული შესაბამისობა ვლინდება: სხვადასხვა სივრცეებად დაყოფილი ეზოთი, რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი თამაშების შესაძლებლობებს როგორც დიდი ჯგუფური, ისე მცირე და ინდივიდუალური თამაშებისთვის. ბუნებრივი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით. სეზონური და ბუნებრივი მასალების ხელმისაწვდომობით. რესურსების უწყვეტი ხელმისაწვდომობით - ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გამოიყენონ რესურსები. შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის ადაპტირებული განლაგებით. ბავშვების ინტერესებზე დაფუძნებული რესურსული მრავალფეროვნებით. როგორც შიდა, დარბაზში, ისე გარე სივრცეში თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფით. დაწესებულების

ჯგუფურ ოთახებში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ვიზუალური დათვალიერებით, კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება მრავალეფროვან ღია, მეორადი მასალების ხელმისაწვდომობით. წყნარი სივრცე გამოყოფილია ფარდით, იატაკზე დაფენილია რბილი ლეიბითა და ბალიშებით, იქვე ხელმისაწვდომად არის წიგნები. მუყაოს ყუთებსა და კონტეინერებში ორგანიზებულია სხვადასხვა ბუნებრივი მასალები. გარე სივრცეში, ეზოში არის მოძრავი თამაშებისთვის სასრიალო, ორი საქანელა, საძრომიალო, სენსორული ბილიკი, დრამატული თამაშების სივრცე და იქვე ხელმისაწვდომია ჭურჭელი, საქვიშე. საგანმანათლებლო რესურსი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ჯგუფში ასევე ეზოში, რაც ვლინდება შიდა და გარე სივრცის ხელმისაწვდომობაში, ორგანიზებულია ისე რომ მარტივად გამოიყენოს თავისუფალ თამაშებსა და აღმზრდელის მიერ დაგეგმილ აქტივობებში. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც შიდა, ასევე, გარე სივრცეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად, რომ ბავშვებს ექმნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში, ასევე დასვენებისა და განმარტოების.

მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის: ყველა ჯგუფის ოთახი დაყოფილია სივრცეებად. სამაგიდო თამაშების სივრცე აღჭურვილია მზა, ბუნებრივი და ხელნაკეთი რესურსებით.

განმარტოების/წყნარი სივრცე: გამოყოფილია ფარდით, მოწყობილია რბილი ლეიბითა და ბალიშებით.

დრამატული თამაშების სივრცე: აღჭურვილია სხვადასხვა როლური თამაშებისთვის საჭირო მასალებით.

ჯგუფის ოთახის შუა ნაწილი გამოიყენება დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, დილისა და საღამოს წრეებისთვის, ასევე ბავშვების მიერ ინიცირებული მოძრავი თამაშებისთვის. დარბაზი: აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტებით დიდი და მცირე ჯგუფური აქტივობებისთვის. მოძრავი თამაშებისთვის არის გრძელი სკამები (20 სმ სიმაღლის) და ბილიკები, რომლებიც, ინტერვიუს მიხედვით, გამოიყენება წონასწორობისა და ბალანსის გასავითარებლად თამაშის ელემენტებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. **საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს. ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" (ბრძანება № ბ55.36251703, 19.06.2025 წ.) მუხლი 8.3-ის შესაბამისად, დამტკიცებულია ბავშვის შეფასების ფორმები (ბრძანება № 55/6, 25.06.2025 წ.), რომლებიც გამოიყენება დაქვემდებარებულ ფილიალებში (საბავშვო ბაღებში) ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც თანხვედრაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებთან. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად გამოიყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პერსონალი გამოიყენებს ბავშვზე დაკვირვების შემდეგ მეთოდებს: ობიექტური დაკვირვება, შემთხვევის ჩანაწერები, მიმდინარე ჩანაწერები. საგანმანათლებლო პერსონალი გამოიყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს: მოკლე კითხვარები, ჩექლისტები, ბავშვის განვითარების სტანდარტისა და კურიკულუმის შეფასებით პორტფოლიოს. იქმნება ბავშვების პორტფოლიოები. ბავშვის პორტფოლიო მრავალფეროვანი დოკუმენტებისგან შედგება. ესენია: ბავშვის ნამუშევრები, ნახატები, ბავშვის ნამუშევრების ფოტოები, ბავშვის მიერ შედგენილი ცხრილები, აღმზრდელის დაკვირვების ჩანაწერები ბავშვის

თამაშზე, საუბარზე და აქტივობაში მონაწილეობაზე, ბავშვის განვითარების კითხვარი და ბავშვის ქცევაზე დაკვირვების ფორმა. ასევე, განვითარების სფეროების მიხედვით ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასების ფორმა, რომელიც ბრძანებით არის დამტკიცებული და დანართის სახით არის წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვის შეფასებისთვის გამოიყენებს შემდეგ მეთოდებს: მოკლე კითხვარებს, ჩექლისტებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის და კურიკულუმის შეფასებით პორტფოლიოს.

ბავშვის პორტფოლიო მრავალფეროვანი დოკუმენტებისგან შედგება. ესენია: ბავშვის ნამუშევრები, ნახატები, ბავშვის ნამუშევრების ფოტოები, ბავშვის მიერ შედგენილი ცხრილები, აღმზრდელის დაკვირვების ჩანაწერები ბავშვის თამაშზე, საუბარზე და აქტივობაში მონაწილეობაზე, ბავშვის განვითარების კითხვარი და ბავშვის ქცევაზე დაკვირვების ფორმა. ასევე, განვითარების სფეროების მიხედვით ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასების ფორმა, რომელიც ბრძანებით არის დამტკიცებული და დანართის სახით არის წარმოდგენილი.

- დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:
- თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას;
- თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას;
- თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას;
- შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს.

ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია და შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ, კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ცენტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისას გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირებას განახორციელებს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით. საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს. ასევე, დაწესებულების სამოქმედო გეგმების შედგენისას.

საგანმანათლებლო პერსონალთან, კერძოდ, აღმზრდელთან და მეთოდისტთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დეტალურად იცნობენ წესს. აქვთ სურვილი და მზაობა ტრენინგის გავლის, რომ მეტად ეფექტიანად განახორციელონ პრაქტიკაში ახალი კურიკულუმი "თამაში". დამტკიცებული წესის შესაბამისად, დაკვირვება შეფასება და მიღებული შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებები საგანმანათლებო პროცესების დაგეგმვა, წარმართვისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მოწოდებული (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025), აღნიშნული წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის განსაზღვრული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ, დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/ კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას, შეფასების შედეგების განხილვა განხორციელდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალურად.ბავშვის შეფასებას განახორციელებს აღმზრდელი. საჭიროებისამებრ, შეფასების პროცესში ჩაერთვება ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი (სპეციალური განათლების პედაგოგი, ლოგოპედი), ასევე, დაწესებულების გარეთ არსებული სერვის პროვაიდერი. ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება, ასევე, დაწესებულების მიერ მოწოდებულ

ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში (ბრძანება Nბ55.36251704; 19/06/2025) რომელშიც წინასწარ არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრა ბავშვის შეფასების შედეგების გასაცნობად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 1. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“- ბრძანება Nბ55.36251701. 19/06.2025

2. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ს/ნ.437371924) მმართველობის სფეროში შემავალ ფილიალებში (საბავშვო ბაღი) კურიკულუმის შეჩევისა და დანერგვის შესახებ ბრძანება Nბ55.36251632. 12/06.2025
3. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025
4. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესი“ (ბრძანება Nბ55.36251702; 19.06.2025)
5. ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება Nბ55.36251704; 19/06/2025)
6. დღის განრიგი;
7. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი.
8. მეთოდისტის, აღმზრდელის პორტფოლიო
9. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის, მუსიკის აღმზრდელის და სპეციალური განათლების პედაგოგის პორტფოლიოები.
10. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

2.2 კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. **დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა ეფუძნება:

- საგანმანათლებო პროცესის შეფასებას
- ფიზიკური გარემოს შეფასებას
- უკუკავშირის მოპოვებას მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლებისგან
- საგანმანათლებო პერსონალის თვითრეფლექსიას

(ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება № 55.36251703; 19.06.2025) საფუძველზე დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების სისტემური მიდგომა.

კურიკულუმის შეფასება მოიცავს:

ყოველწლიურ შეფასებას

საგანმანათლებო პროცესის კომპლექსურ ანალიზს (ბავშვზე დაკვირვება, პორტფოლიოების ანალიზი, პერსონალის რეფლექსია, გეგმების შეფასება)

ფიზიკური გარემოს შეფასებას (შიდა და გარე სივრცე)

საგანმანათლებო პერსონალის თვითრეფლექსიების ანალიზს

მშობლებისგან უკუკავშირის მოპოვებას (კითხვარი, შეხვედრები, წინადადებების ყუთი)

წესში გაწერილია, რომ კურიკულუმის შეფასებისთვის, ცენტრის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, თუმცა ამ ეტაპზე არ არის დამტკიცებული. დაწესებულება გაანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში. წესის მიხედვით შეფასებისთვის გამოიყენება სპეციალიზებული კითხვარები და დადგენილია მკაფიო პროცედურები. ვიზუალური დათვალიერებისას ადგილზე ყველა ჯგუფში არის მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად„წინადადების ყუთი“.დაწესებულების მენეჯერთან და მეთოდისტთან ჩატარებული ინტერვიუს დროს, კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებით, მენეჯერმა წარმოადგინა ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავს დაწესებულების შიდა და გარე სივრცის შეფასების შედეგებს. მეთოდისტმა წარმოადგინა: საგანმანათლებო პროცესისა და აღმზრდელების შეფასების კითხვარები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" (ბრძანება № 55.36251703; 19.06.2025) საფუძველზე დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც უნდა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ. ვინაიდან დაწესებულება ახლა ნერგავს ახალ კურიკულუმს, შესაბამისად, ამ ეტაპზე არ აქვს განხორციელებული ცვლილებები კურიკულუმში შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე.

დაწესებულებას უკვე აქვს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი, მაგრამ ჯერ არ აქვს ბრძანებით დამტკიცებული, რაც ადასტურებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის არსებობას და მზადყოფნას.

კურიკულუმის შეფასება ეფუძნება:

- საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
- ფიზიკური გარემოს შეფასებას;

- მშობლების უკუკავშირს;
- პერსონალის თვითრეფლექსიას.

აღნიშნული ასპექტები გაწერილია მარეგულირებელ წესში, რომელსაც იცნობს საგანმანათლებლო პერსონალი და გეგმავს ფუნქციურად გამოიყენოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ს/ნ.437371924) მმართველობის სფეროში შემავალ ფილიალებში (საბავშვო ბაღი) კურიკულუმის შეჩევისა და დანერგვის შესახებ ბრძანება N№55.36251632. 12/06.2025
2. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი"- ბრძანება N№55.36251701. 19/06.2025
3. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" ბრძანება N №55.36251703; 19/06.2025

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

2.3 კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. **დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესი", რომელიც დამტკიცებულია (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 ივნისის (№ბ55.36251702) ბრძანებით. ეს დოკუმენტი დეტალურად აღწერს საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების წესს და მოიცავს შიდა და გარე აუდიტორიებთან კომუნიკაციის, საკომუნიკაციო არხების, აქტივობების დროში განაწილების, პასუხისმგებელი პირების, უკუკავშირის და კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის საკითხებს. დოკუმენტს ერთვის საკომუნიკაციო გეგმის შაბლონი.

ასევე, დაწესებულებას სავალდებულეო დოკუმენტებში წარმოდგენილი აქვს №4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება №ბ55.36251704; 19/06/2025), მუხლი მე-5 განსაზღვრავს საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვასა და პასუხისმგებელ პირებს: 1. საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისათვის დაწესებულება (საბავშვო ბაღი) იყენებს დანართი №1-ით განსაზღვრულ ცხრილს. ცხრილში განისაზღვრულია კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული. რომელშიც წინასწარ დროში არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები, კონკრეტული აქტივობები კურიკულუმის და სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად.

კერძოდ:

- მშობელთა ჩართულობის გაზრდა და ნდობის გაძლიერება ბაღისადმი
- ჩართულობა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში
- კურიკულუმის მიზნების გაცნობა
- საინფორმაციო დაფის მოწყობა, აქტიური ჩართულობა, ყოველდღიური ცნობების განახლება, ფოტოები
- ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობა
- I სემესტრის შედეგების და II სემესტრის ამოცანების გაცნობა

- ბავშვთა უფლებების კონვენციის გაცნობა
- თემის რესურსის მოძიება, გასვლითი აქტივობების დაგეგმვა
- ვიზიტი: სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი
- საგანმანათლებლო რესურსის შევსება სხვადასხვა სასწავლო მასალით

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 ივნისის (№ბ55.36251702) ბრძანებით წარმოდგენილ ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესში და ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში (ბრძანება N ბ55.36251704; 19.06.2025) განსაზღვრულია მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართვა ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში მონაწილეობა როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

საბავშვო ბაღში შექმნილია "მშობელთა კლუბი". ბაღმა წარმოადგინა შეხვედრის ოქმები და ფოტო-სურათები.

ვიზიტის დროს წარმოადგინა დროში გაწერილი ჩანაწერები:

- ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული შეხვედრების შესახებ
- სხვადასხვა პროფესიის მოწვეული ექსპერტებთან დაგეგმილი შეხვედრების შესახებ
- მშობელთა ინიციატივების განხილვისა და წახალისების შესახებ

საკომუნიკაციო გეგმაში ასევე გაწერილია ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან. დოკუმენტებში ასახულია ორივე ტიპის ღონისძიება. მშობელთა კლუბის შეხვედრების ოქმები ადასტურებს შიდა აქტივობებს. ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა წესებისა და პროცედურების ცოდნა, ასევე თანამშრომლების მზაობა დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 ივნისის (№ბ55.36251702) ბრძანებით წარმოდგენილ ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესში იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები. კერძოდ, ცენტრის მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:

ა) პირისპირ შეხვედრები;

ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით;

გ) მატერიალური კორესპონდენცია;

დ) საინფორმაციო დაფები;

ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები;

ვ) სატელეფონო ზარები;

ზ) ელექტრონული ფოსტა;

თ) ცენტრის სოციალური მედიის პლატფორმა;

ი) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები (messenger-ში) - გაერთიანებული ჯგუფის მშობლები, ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი. ვიზუალური დათვალიერებით გამოიკვეთა, რომ არის საინფორმაციო დაფები ჯგუფების შესასვლელში, ასევე, დაწესებულებას აქვს წინადადებების ყუთი მშობელთა სურვილებისა და უკუკავშირის მისაღებად.

საკომუნიკაციო გეგმა ასევე განსაზღვრავს მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პროცესს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და პროგნოზირებადობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესი“ (ბრძანება N№55.36251702; 19.06.2025
2. ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N№55.36251704; 19/06/2025)
3. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

3.1 თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. **დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 ივნისის (№ბ55.36251702) ბრძანებით წარმოდგენილ ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესში და ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში (ბრძანება N ბ55.36251704; 19.06.2025) წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, წინასწარ არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების, სკოლამდელი ასაკის ბავშის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით. დროში გაწერილია, წლის განმავლობაში თვეებზე არის განაწილებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილ დოკუმენტში (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025) მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობასა და განხილვას. დოკუმენტის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების დასრულების შემდეგ, შედეგების გაზიარება განხორციელდება ინდივიდუალურად. მშობლები ინფორმირებული იქნებიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ, რაც დასტურდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი: მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების, ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობის შესახებ ჩანაწერით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების წარმოადგენილი (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესი" (ბრძანება № 55.36251702; 19.06.2025) და ქალაქ ოზურგეთის № 4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმის (ბრძანება № 55.36251704; 19.06.2025) მიხედვით დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალიწინებული აქტივობების განხორციელებისას, კერძოდ, თემის რესურსის მოძიება, გასვლითი აქტივობების დაგეგმვა. საგანმანათლებლო რესურსის შევსება სხვადასხვა ბუნებრივი მასალით. საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს ექსკურსიებსა და შეხვედრებს, ბავშვების გაყვანა თემში არსებულ დაწესებულებებში, სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ბუნებაში, პარკში და სხვა. რაც ასახავს თემის რესურსების გამოყენების პრაქტიკას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ გაწერილი საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის მიხედვით მე-6 მუხლში მითითებულია და განსაზღვრულია გახორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმი.

კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, გაერთიანება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

ა) კითხვარები;

ბ) შენიშვნების/წინადადების ყუთი;

გ) ღია შეხვედრები; აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს

დაგეგმილი აქტივობები, გაწერილია და განაწილებულია დროში, ბაღის საკომუნიკაციო გეგმის დანართში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“- ბრძანება N№55.36251701. 19/06.2025

2. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ს/ნ.437371924) მმართველობის სფეროში შემავალ ფილიალებში (საბავშვო ბაღი) კურიკულუმის შეჩევისა და დანერგვის შესახებ ბრძანება N№55.36251632. 12/06.2025

3. (ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (ბრძანება N №55.36251703; 19/06.2025))

4.(ა(ა)იპ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესი“ (ბრძანება N№55.36251702; 19.06.2025

5.ქალქა ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N№55.36251704; 19/06/2025)

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

3.2 თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[3]

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშო ბაღის სტრუქტურა/ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირები.

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშო ბაღის საშტატო ნუსხა. ორგანოგრამის და საშტატო ნუსხის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ეს ორი დოკუმენტი ერთმანეთთან არ არის თანხვედრაში. აღნიშნული საკითხის უზუსტობები დაწესებულების მენეჯერმა ინტერვიუსას დაადასტურა. კერძოდ მუსიკის პედაგოგი არ არის ასახული ორგანოგრამაში; მზარეულის თანაშემწე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი, მაშინ როცა საშტატო ნუსხაში განსაზღვრულია ორი, (საშტატო ნუსხის თანახმად ერთი ადგილი ვაკანტურია); მეეზოვე ორგანოგრამაში ორი პირით არის წარმოდგენილი, მაშინ როცა საშტატო ნუსხაში ერთია გათვალისწინებული; მებაღე საშტატოში არის, მაგრამ ორგანოგრამაში არ არის ასახული; ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლებიდან ორგანოგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ სპეციალური განათლების სპეციალისტი, მაშინ როცა დამხმარე აღმზრდელი, პერსონალური ასისტენტი, მებაღე და ორი დამხმარე თანამშრომელი არ არის ასახული. აღნიშნული დარღვევები მიუთითებს, რომ ორგანოგრამა ვერ ასახავს რეალურად არსებულ პერსონალს და არასრულად პასუხობს საშტატო ნუსხას, რის შედეგადაც იგი რეალობასთან შეუსაბამოა.

[3] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

დაწესებულებას დასაქმებულთა ფუნქციები გაწერილი აქვს შრომის შინაგანაწესში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დიქრექტორის 2025 წლის 31 მარტის ბრძანებით N 55.36250901, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც არ იკითხება უფლებამოვალეობების გადანაწილების, შეთავსების საკითხები. აღნიშნულ საკითხს არ მოიცავს არც დაწესებულების შრომითი შინაგანაწესი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხა ადასტურებს, რომ დაწესებულებას ყავს საკმარისი რაოდენობის (გადამზადებული) საგანმანათლებლო პერსონალი, რომალიც ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას მოახერხებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურდებს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანოგრამისა და საშტატო ნუსხის თანხვედრა, რათა ასახავდეს რეალურად დასაქმებულ პერსონალს, მათ პოზიციებსა და ვაკანტურ ადგილებს.

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ უფლებამოსილებების, თანაშემწეობისა და შეთავსების საკითხები რეგულირდებოდეს როგორც ორგანოგრამაში, ისე პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტსა და შრომის შინაგანაწესში, რათა დაიცვან კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები და უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებულთა ეფექტური მართვა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს თორმეტ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობა-დანართი N10 სახით, შრომის შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 31 მარტის ბრძანებით N 55.36250901. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალებში დასაქმებულთა ძირითადი მოვალეობები.

წარმოდგენილი დოკუმენტში ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული– პოზიცია, უფლებები, ვალდებულებები, საკონტაქტო და არასაკონტაქტო დროის ხანგრძლივობა და ა.შ

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით „პერსონალის შერჩევის, დანიშვნის და ადაპტაციის მექანიზმი“ . დაწესებულებამ წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N 46 დადგენილება სკოლამდელი აღზრდისა და

განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N49 დადგენილება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ". დადგენილი კვალიფიკაცია შესაბამისია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. დაწესებულებას არ ჰყავს აღმზრდელ-პედაგოგები. ადგილზე ინტერვიუს და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესებამება დადგენილ მოთხოვნებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება განაცხადში აღწერს, რომ დაწესებულებაში დაცულია ბავშვთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ამისთვის დაწესებულებაში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. მათ გაიარეს ტრენინგი თემაზე: ,,პირველადი სამედიცინო დახმარება" და აქვთ შესაბამისი სერტიფიკატები. აღნიშნული დოკუმენტაცია კი ინახება საგანმანათლებლო პერსონალის პირად საქმეში.

დაწესებულებაში ვიზიტისას საგანმანათლებლო პერსონალის პირველადი დახმარების კომპეტენციის დამადასტურებელი დეოკუმენტაცის დათვალიერებისას აღმოჩნდა რომ სერტიფიკატებს, რომელიც გაცემულია **„საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი,**

საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრი"–ს მიერ არ აქვთ დასმული ბეჭედი, არ არის დათარიღებული და არ აქვს რეგისტრაციის ნომერი. სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა ვერ წარმოადგინა დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება ან მიღება–ჩაბარების აქტი. მტკიცებულების სახით წარმოადგინა, მხოლოდ იმ თანამშრომელთა სრული სია, რომელიმაც გაიარა აღნიშნული ტრენინგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ საგანმანათლებლო პერსონალის პირველადი სამედიცინო დახმარების კომპეტენცია დადასტურებული იყოს ოფიციალური, რეგისტრირებული და დამტკიცებული დოკუმენტაციით, რომელიც მოიცავს სერტიფიკატის ბეჭედს, დათარიღებას და რეგისტრაციის ნომერს. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ან მიღება–ჩაბარების აქტი, სადაც ასახული იქნება ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს თორმეტ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

4.1.2 დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი", 2025 წლის 21 მარტის N55.36250802

ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის შერჩევის, დანიშვნის და ადაპტაციის მექანიზმი“ და ცენტრის დიქრექტორის 2025 წლის 31 მარტის ბრძანებით N 55.36250901 დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი.

აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან და არეგულირებს იმ ძირითად საკითხს, რაც დაკავშირებულია პერსონალის მართვასა და განვითარებასთან. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს შესაბამისად, მოიცავს 14 მუხლს, რომელიც აერთიანებს ყველა სავალდებულო პუნქტს: დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები), მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, შვებულება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა,დავის სამართლებრივი გადაწყვეტა და სხვა. ადგილზე ვიზიტისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს შრომის შინაგანაწესს, გაფორმებულ ხელშეკრულებას და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს. გამომდინარე იქედან, რომ პერსონალის მარეგულირებელი წესი შემუშავებულია მიმდინარე წლის 21 მარტს, კონკრეტული მტკიცებულებები პროცესის შესახებ შექმნილი არ არის, თუმცა ინტერვიუს დროს მენეჯერთან და გაერთიანების ხელმძღვანელებთან იკვეთებოდა დადგენილი წესის შესაბამისად პერსონალის მართვის მიდგომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ ჰყავს დასაქმებული აღმზრდელ-პედაგობები. ადგილზე ვიზიტისას მტკიცებულების სახით წარმოადგინა აღმზრდელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დრაფტი. ხელშეკრულების მუხლი 3-ში „დასაქმებულის სამუშაო ადგილი, სამუშაო საათები და დასვენების დრო“ 1.3 პუნქტში განსაზღვრულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო დრო.

საკონტაქტო დრო პირველი ცვლის აღმზრდელისთვის –09:00–15:00 საათამდე. არასაკონტაქტო დრო 15:00–17:00 საათამდე.

საკონტაქტო დრო მეორე ცვლის აღმზრდელისთვის 13:00–18:00საათამდე. არასაკონტაქტო დრო –11:30-13:30 საათამდე.

ხელშეკრულებაში აღნიშნული არ არის არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა უზრუნველყოს ფილიალების აღმზრდელ პედაგოგებთან/აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების სტანდარტის შესაბამისად უზრუნველყოფა.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვროს დილის და საღამოს ცვლის აღმზრდელის სამუშაო სრული დრო დღის განმავლობაში და შესასრულებელი არასაკონტაქტო დროის ხანგრძლივობა კვირის განმავლობაში, რომელშიც გაწერილი იქნება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა საგანმანათლებლო პროცესისთვის, ისე როგორც შესაბამის მარეგულირებელ წესშია მითითებული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს თორმეტ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები რეგულირდება ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი"-თ, აღნიშნული წესის თავი III „ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი"- არეგულირებს პერსონალის შერჩევასთან, დანიშვნასთან და პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. მე–9 მუხლში დაწესებულების პერსონალის შერჩევა – განსაზღვრულია, რომ პირი დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით ან კონკურსის, (ღია/დახურული) საფუძველზე.

ამავე წესის მე–10 მუხლში განხილულია ღია კონკურისის ეტაპები. შიდა (დახურული) კონკურის განსაზრვრულია მე–15 მუხლში, ხოლო პირდაპირი გზით დანიშვნა განსაზღვრულია მე–16 მუხლში. პირდაპირი დანიშვნის გზით პერსონალის შერჩევის დროს, გაერთიანება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობას და ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე კანდიდატთან ტარდება გასაუბრება.

ამავა წესის მუხლი 8. კადრების მოზიდვა და შერჩევა - აღნიშნულია, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას, თუმცა არ არის განსაზღვრული კონკრეტული პროცედურა/პროცესი, რომლის საშუალებითაც დაწესებულება უზრუნველყოფს ობიექტურობას და გამჭირვალობას კადრების შერჩევის პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს კონკრეტული და მკაფიო პროცედურა/პროცესის შემუშავება კადრების შერჩევის პროცესში, რომელიც განხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს თორმეტ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხებს არეგულირებს ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“-თ, ამავე წესის, **თავი III. ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესის** მე-18 მუხლში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის ექანიზმი, სადაც გაწერილია შემდეგი:

იმისათვის, რომ გაერთიანების მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, გაერთიანება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე.

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

ა) ახალი თანამშრომლისთვის გაერთიანების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;

გ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;

დ) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;

ე) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;

ვ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;

ზ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპზე, რაც იკვეთება დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში. დაწესებულებას გაცხადებული აქვს, რომ გუნდურობა არის მისი ერთ-ერთი ღირებულება, ხოლო ხედვაში გამოტანილი აქვს როგორც ბავშვების, ასევე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, რომელიც ასევე მოიაზრებს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და განვითარებას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის მექანიზმი, რომელიც მრავალფეროვან ეტაპებსა თუ აქტივობებს მოიცავს. ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუს დროს, თანამშრომლები ერთმანეთის მიმართ ავლედნენ გულისხმიერ და კოლეგიალურ დამოკიდებულებას, ცდილობდნენ საკუთარი პრაქტიკის გაზიარების დროს, ხაზი გაესვათ თავიანთი კოლეგების შრომისმოყვარეობასა და გუნდური მუშაობის პრინციპზე. დაწესებულებაში მოქმედებს გუნდური მუშაობის პრინციპი, რაც ასევე ვლინდება სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებაში, რომელიც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.3 დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის განვითარების მიზნით, პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლლევის საკითხები რეგულირდება ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, სადაც **თავი IV „შესრულებული სამუშაოს მართვა”** მე-19 მუხლში განსაზღვრულია საჭიროებათა მოკვლევის საკითხები. აღნიშნული წესის თანახმად: გაერთიანება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას.

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გაერთიანება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს, რაც გაწერილია ამავე წესის მე–20 მუხლში.

დაწესებულების მიერ განხორციელებული შეფასების პროცესის მხარეები არიან შესაფასებელი პირი, შემფასებელი პირი და გაერთიანების ხელმძღვანელი.

გაერთიანების შეფასების სისტემა ითვალისწინებს თანამშრომლეთა დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხის შეფასებას, რომელიც ასევე მოიცავს: პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას უშუალო ხელმძღვანელის მიერ და სხვ.

ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები:

ა) დაგეგმვა;

ბ) საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;

გ) შედეგების ანალიზი.

ამავე წესში განსაზღვრულია, რომ დაწესებულება საჭიროების მოკვლევას ახორციელებს შემდეგი გზებით: კითხვარი, თვითშეფასება და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს პერსონალის საქმიანობის შეფასების და საჭიროებათა მოკვლევის ინსტრუმენტი და პროცედურა, რომელიც ხელს შეუწყობს კადრების მართვის პოლიტიკის უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესში“ აღნიშნულია, რომ პერსონალის გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, პერსონალის განვითარებისთვის საჭირო აქტივობების ასახვა განხორციელდება ცენტრის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და ბიუჯეტი.

ინტერვიის დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია აღნიშნული წესს დააფუძნოს პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერას. ინიციატივა შესაძოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულებას აქვს მექანიზმი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახალისების შემთხვევაში:

ა)საჭიროებების გამოვლენა;

ბ)კითხვარის შევსება;

დაწესებულებაში ვიზიტის და ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია პერსონალის მართვის წესისა და მოქმედი მექანიზმების შესაბამისად განახორციელოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 4.1.1. ინდიკატორი 1,2 - დანართი 8 – N4 საბავშვო ბაღის ორგანოგრამა

2. 4.1.2. ინდიკატორი 2 - დანართი 10 - შინაგანაწესი, 2025 წლის 31.03. ბრძ. №55.36250901

3. 4.1.2. ინდიკატორი 1,3,4,5 - დანართი 9 - პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, 2025 წლის 21.03. ბრძ. №55.36250802

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2 პროცესების მართვა

4.2.1 დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N55.36251692 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს დაწესებულების იდენტიფიცირებულ მართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს და მათ აღმწერებს. რისკ

ფაქტორების იდენტიფიცირების მექანიზმსა და სამოქმედო გეგმას, შეფასების განხორციელებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი პროცესების მართვას უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის შესაბამისად, რაც დასტურდება ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N55.36251692 ბრძანებით დამტკიცებული „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“ - დოკუმეტით, რომელიც მოიცავს პროცესების აღმწერებს, რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფორმას. აღნიშნული დოკუმენტის მე–3 მუხლში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული– წესში გაწერილია, რომ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პიროვნებად განსაზღვრულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაერთიანება რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენს ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რომლის განუყოფელი ნაწილია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა/უკუკავშირი. არსებული დოკუმენტი მიმდინარე წლის 16 ივნისსაა დამტკიცებული და ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს შექმნილი ამ წესის შესაბამისად კონკრეტული მტკიცებულებები. ინტერვიუს დროს

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ავლდენდა საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და მზაობას წესის შესაბამისად პროცესის განხორციელებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 2025 წლის 4 აპრილის N55.362509941 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპებს, ჩარიცხვა ამორიცხვის პროცესის განხორციელების ფორმას, ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობას და ვადებს, ჩარიცხვის ეტაპებს და მათი განხორციელების წესს, გაყვანას, ამორიცხვას და ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვების ჩარიცხვის წესს. ასევე დოკუმენტი ითვალისწინებს ამ წესით განსაზღვრული პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელ პირს/ორგანოს.
დოკუმენტს დანართის სახით ახლავს სარეგისტრაციო ბარათი და მშობლის კითხვარი.
დაწესებულება ბავშვის ჩარიცხვა–ამორიცხვის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს მატერიალური ფორმით, ნაბეჭდი ფორმების/განცხადებების გამოყენების გზით. შევსებული განცხადების მიღება კი ხდება როგორც მატერიალური ფორმით, დაწესებულებაში ვიზიტისას, ასევე ელექტრონული გზავნილის საშუალებით დაწესებულების მეილზე.
ფილიალებში ბავშვის ჩარიცხვა ხდება ცენტრში განცხადების შევსების შემდეგ ეტაპზე, ფილიალში დოკუმენტების მიტანით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 2025 წლის 4 აპრილის N55.362509941 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც არეგულირებს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესს. აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის სტრუქტურულ ერთეულებში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სახელზე;

ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ე) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;

ვ) ბავშვის 2 ფოტოსურათი

გ) ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი.

ზ)ცნობა ოჯახის სოციალურად დაუცველთა სტატუსის შესახებ

თ)სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ზ)მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;

დ)მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი;

ი)მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;

კ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;

ლ)მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);

ნ) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ო) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ;

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N55.36250802 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“. წესი მოიცავს ასევე პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესსაც. წესის თანახმად, პირადი საქმე მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

1. სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
2. რეზიუმე;
3. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
6. კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები:
7. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
8. კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
9. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

10. შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

პერსონალის პირადი საქმეების ადგილზე შესწავლით დადასტურდა, რომ მათი წარმოება ხორციელდება დამტკიცებული წესის შესაბამისად. პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ ბავშვთა პირადი საქმის წარმოების წესი და შესაბამისი მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

. 4.2. ინდიკატორი 1, 2 - დანართი 21 - პროცესის აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი, 2025 წლის 18.06. ბრძ.№55.36251692

2. 4.2. ინდიკატორი 3 - დანართი 11 - ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, 2025 წლის04.04. ბრძ. №55.36250941

3. 4.2. ინდიკატორი 4 - შინაგანაწესი, 2025 წლის 31.03. ბრძ. №55.36250901

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამებ.ა ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☒

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☒

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☒

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის No55/9 ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელსაც იცნობს დაწესებულების ყველა თანამშრომელი. პირველადი დახმარების საჭიროების შემთხვევაში ქალაქ ოზურგეთის N4 საბავშვო ბაღში დასაქმებულია მედდა. საბავშვო ბაღში არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის სამედიცინო კაბინეტი მედდისთვის, რომელიც მოწყობილია კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რისთვისაც წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა.

აღნიშნული გეგმა რელევანტურია შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები არ აქვს აღწერილი.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

როგორც ადგილზე ვიზიტისას შენობისა და ეზოს ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, დაწესებულებას აქვს მწვანე საფარი ტერიტორიაზე, დაწესებულებამ უზრუნველყოს ტერიტორიაზე არსებული მცენარეებისა აღრიცხვა მათი მახასიათებლების მითითებით კომპეტენტური პირის მიერ. საფრთხის შემცველი მცენერის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გაუვნებელყოფა

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს თორმეტ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა, ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის, ფოტო-ვიდეო გადაღების და მისი გამოქვეყნების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბავშვის პირადი საქმის ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადგილზე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, აღმზრდელები სისტემატიურად ზრუნავენ, რომ ბავშვისთვის დღის განრიგი პროგნოზირებადი იყოს, რასაც სხვადასხვა თამაშის, აქტივობების განხორციელებით აკეთებენ. დაწესებულებაში გამოკრულია ვიზუალური დღის განრიგი, აქვთ სხვადასხვა მასალები და იყენებენ მას ბავშვებთან ერთი საქმიანობიდან მეორეზე მარტივი გადასვლებისთვის. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს ბავშვების ფსიქიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და მუდმივად იცავს მათ ნებისმიერი საქმიანობის წარმართვის პროცესში. ზემოხსენებული დასტურდება გეგმებით, განრიგითა და საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას პერსონალისა და ბავშვების თანამშრომლობით.

დაწესებულების პერსონალი რომ იცნობს ბავშვთა უფლებებს, დასტურდება სხვადასხვა ტრენინგ–კურსების დამადასტურებელი სერთიფიკატებით, რომელიც პერსონალს პირად საქმეში აქვს ჩალაგებული. აღნიშნული ტრენინგები მოიცავს ინფორმაციას ბავშვთა უფლებების შესახებ.

დაწესებულების პერსონალი იცავს საქმიანობის პროცესის წარმართვისას ბავშვის უფლებებს, რისთვისაც შემუშავებული აქვს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი და ყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული, რომელსაც აქვს გავლილი შესაბამისი ტრენიგ-კურსი (სწავლება). ადგილზე ვიზიტისას და პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თითოეული მათგანი იცნობს და იცავს ბავშვთა უფლებებს. თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის, რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 ივნისის N55.36251691 ბრძანებით დაამტკიცებული „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხიმგებელი პირი, რეაგირების მექანიზმი და სხვა. ამ წესის თანახმად, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის N55/3 ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირები ფილიალებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის N4 საბავშვო ბაღში ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციისა მზაობა აღმზრდელებთან ინტერვიუსას გამოვლინდა. ბავშვებზე დაკვირვება და მათი საჭიროებების ანალიზი, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური დაკვირვების ჩანაწერების წარმოება, რასაც შემდგომში ასახავენ მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის გრაფაში და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ გეგმებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიზნების დასახვასა და მისადაგებულ აქტივობებზე ფოკუსირებას.

ინტერვიუსას აღმზრდელები საუბრობდნენ, რომ დაწესებულებაში ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიო უნდა მოიცავდეს დაკვირვებებს, შეფასებებს, ბავშვის ნამუშევრებსა და ფოტომასალას. ასევე წარმოდგენილია დღის განრიგი, რაც ადასტურებს სტრუქტურირებული და წინასწარ დაგეგმილი საგანმანათლებლო პროცესისთვის მზაობას.

აღმზრდელები ინტერვიუსას აღნიშნავდნენ მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებაზე ბავშვის ადაპტაციის ხელშესაწყობად. ეს მოიცავს: პოზიტიური განწყობის შექმნას საბავშვო ბაღის მიმართ (საუბარი, წიგნების კითხვა და სხვა), იმიტირებულ დრამატულ თამაშებს ბაღის გარემოს შესაქმნელად, ბავშვისთვის წინასწარ საუბარს ბაღში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

ვიზიტისას წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასახავს სამომავლო პრაქტიკას, რომლის ფარგლებშიც პერსონალი ბავშვს ჯგუფსა და გარემოში წარმატებით ინტეგრირებაში შეუწყობს ხელს. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია თამაშზე ორიენტირებული აქტივობები შიდა და გარე სივრცეში, ბავშვის მიერ ინიცირებული თამაშები და მრავალფეროვანი გამოცდილება, რაც ხელს უწყობს გარემოსთან ეტაპობრივ შეგუებასა და ტრანზიციის პროცესს.

გარდა ამისა, დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის სკოლაში გადასვლის მზაობის შეფასებას. ეს პროცესი მოიცავს ბავშვის ინტერესის გამოვლენას სკოლის მიმართ, სკოლის გაცნობის შესაძლებლობას, მშობლის შეფასებას ბავშვის ემოციური მზაობის შესახებ და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვა, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენით. სტატუსის მაძიებელი იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებულ სხვადასხვა მარეგულირებელ წესში. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესში, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 ივნისის N55.36251691 ბრძანებით დაამტკიცებული წესის თანახმად“, მე-6 მუხლი არეგულირებს ბავშვის ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და რეფერირებასთან დაკავშირებულ პროცედურულ წესებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში დასაქმებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალების პერსონალისა და ბავშვების პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების გამჟღავნდების განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 4.6.1. ინდიკატორი 1 - დანართი 20 – N4 საბავშვო ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

2. 4.6.2. ინდიკატორი 3 - დანართი 18 - ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი, 2025 წლის 18.06. ბრძ.N55.36251691

4.7. ფინანსური რესურსი

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის 2025 წლის 8 აგვისტოს წერილი №04–362522071. დოკუმენტის მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ივლისის №8 დადგენილებით დამტკიცდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება შეადგენს 9 915 320 ლარს.

დამატებით, დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა კვარტალურად ჩაშლილი ბიუჯეტი, რაც ადასტურებს ფინანსური რესურსის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა, ზემოაღნიშნული ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს შესაძლებლობას, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში ორგანიზდეს და განხორციელდეს სტრატეგიული გეგმის გაგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში, კონკრეტული მუხლების შესაბამისად, განსაზღვრულია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისთვის გამოყოფილი რესურსი. ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, როგორც ადამიანური რესურსის, ასევე მატერიალური რესურსის მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ) სისტემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულება უზრუნველყოს ფინანსური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც მოიცავს ფინანსების მართვის ძირითად პრინციპებს, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების პროცესში ჩართულ ორგანოებსა და სტრუქტურებს, მათ უფლებამოსილებებს, ასევე შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების წესს და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პროცედურებს. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ეფექტიან, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ მართვას და სრულად დააკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

რჩევა

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს თორმეტ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (წარმოადგინა ადგილზე ვიზიტის დროს)

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება.შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სავალდებულო დანართის დასახელება
ვიზიტის დღის წესრიგი

4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი
4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი
4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართის N	**2. სხვა დანართის დასახელება**
1	
2	
3	

თარიღი 28/11/2025

ხელმომწერი	**სახელი გვარი**	**ხელმოწერა**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე		
ხარისხის ექსპერტი	ნინო თურმანიძე	ნ. თურმანიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები		

კურიკულუმის ექსპერტი: თამარ შკუბულიანი



კვების დარგში ექსპერტი: ელენე ფიცხელაური

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: გელა გელაშვილი



4.3. კონსულტაცია გამოსაყენებელი მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

სადაზღვავო სალიცენზიო: „ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის კერპი“ **პროცესებმის გამოსაყენებელი ავდელის სახელწოდება (ინგლისურ შემთხვევაში):** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ოზურგეთი, ბულვარი №4 სასაფლაო ნაგავ	**სარანტიის № 1623 I 25 000091145 – 24/07/2023** **სარანტიის ვადა:0001 I 25 000097095 – 06/05/2025**
პროცესებმის გამოსაყენებელი ფაქტობრივი მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ოზურგეთი, ბულ N. ნაკიდიანი, №45	**ფურცლის თანრიგი:** 11-13 ადგილი

კრიტერიუმი 4.3.1. დაზღვეულის მიერ/ოთ/ეს ფრენა გამოაცხადა დაზღვეულის მიმართ გამოსაყენებელი მიზნების მისაღწევად და შეფასების ანგარიშად დასან დაყენებულ საქმეთა რაოდენობის

№	ინდიკატორი	შეესაბამება	შეესაბამება ნაწილობრივ	შეესაბამება ნაწილობრივ	არ შეესაბამება	დასაბუთება (შეესაბამებოდეს): კონსულტაციის/ინტერვიუირების/ინდიკატორების შეფასებულებები
1	**დაზღვეულმა ეროვნულ/ადგილობრივ საფინანსო-საგადასახადო ხელისუფლებისგან ხელმისაწვდომი ინფორმაციის/ანალიზის ბაზების ინდიკატორებზე დაყრდნობილი ფაქტიური ანალიზი და დაზღვევით გაშეფსებული ინფორმაციის ალგორითმებისა.**	☐	☐	■	☐	1.ოზურგეთის ბენრის N 36.362517812 ბრძანება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის კერპის, უმცირდადლიდ, საშუალებრივ უფროსები, ეროვნულად ბინის ინფორმაციის ეკადილ ნაწილში ბადის დეტესკოთნორების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეგლამენტის ინფორმაციის ეფექტიანობის გადაკეთის შესახებ. 2. სალარო რეგისტრის ინფორმაცია 3. 02.07.2025 წლის ფიფინანსებელი მოგება-ზარალის აკტი, შენობის ადგილების შესახებ. 4. შემოსავლებელი ბალანსი ზედნადები რაოდენობის გამაშალურის მეთოდოლოგია: დაზღვეულისა აკადემიურ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის კერპის დირექტორის 2024 წლის 5 ფებვრვარის №55.36252881 ბრძანებით დამტკიცებული ბალანსი ზედნადები რაოდენობის გამაშალურის. ნებისა 5. სალაბეგანი სიფლეგაბენის მარიგის ბარბალიანა. 6. შენობის ეკონომიური დაფიფიდიერეა

შესაბამისობის კითხვარი

№	შეფასების ინდიკატორი	შეესაბამება	შეესაბამება ნაწილობრივ	შეესაბამება ნაწილობრივ	არ შეესაბამება	ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა	რეკომენდაცია	ინდ.	ინდიკატორებისა ბიზნეს ფრაგმენტი
1	**დაზღვეულმა ეროვნულ/ადგილობრივ საფინანსო-საგადასახადო ხელისუფლებისგან ხელმისაწვდომი ინფორმაციის/ანალიზის ბაზებზე დაყრდნობილი ფაქტიური ანალიზი და დაზღვევით გაშეფსებული ინფორმაციის ალგორითმებისა:**								
	დაზღვეულმა აკმაყოფილა საკონო რეგისტრიდან, რომ მეწარმეებისგან/ფიზიკურ პირებისგან ფასიანი N 12- ის სახით. რაც ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია.	■	☐	☐	☐	დაზღვეულმა აკმაყოფილა საკონო რეგისტრიდან, რომ მეწარმეებისგან/ფიზიკურ პირებისგან ფასიანი N 12- ის სახით. რაც ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია. # დაზღვეულმა ადგილობრივ ეკონომიკის წარმოადგინა. შენობა-ნაგებობის სტრუქტურა ფასიანებულია დოკუმენტები. ადმინშეფილ დაზღვეულმა წარმოადგინა ინფორმაციული ბაზა. 12 თვეზე # დაზღვეულმა არ აკმაყოფილა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (ალაგებული შესაბამის სფერობის ინფორმაციის ინფორმაციის ბაზაში ინფორმაციული ინფორმაციის ეკონომიკურ ეროვნული ბიზნეს ბიზე , თუმცა ადმინშეფილ დაკავებულია წარმოდგენილია შესაბამისობის. ბაზა. 12 თვეზე, რომელიც რეკომენდაციებია შეესაბამისობა. ადმინისტრირდა. # დაზღვეულმა ადგილობრივ ეკონომიკის წარმოადგინა. მიმართავა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სანიმარო-ეპიდემიოლოგიის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ	დაზღვეულმან უწყებრივად წარმოდგენილი შესაბამისობის ბაზაში შესაბამისად შენ ობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (ალაგებული შესაბამის სფერობის ინფორმაციის ინფორმაციის ბაზაში) აკრედიტებული ორგანოს ან სანიმარო-ეპიდემიოლოგიის ორგანოები ბიზნეს ბიზე დოკუმენტის უწყებრივად.		
2	**დაზღვეულმა აკმაყოფილა ადგილობრივ ინფორმაცია და გამოიყენა ამავე სკოლამდელი აღზრდის და გამოიყენა დაზღვეულის შენობის ინფორმაციულ/ანალიზის ბაზებზე კონსულტაციისა დაფუძნებულ მოთხოვნებს**								
2.1.	დაზღვეულმა აკმაყოფილა შენობის ელექტროკაბელის მიდების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ შენობაზეთის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ)	☐	☐	☐	☐	საკითხი არარელევანტური დაზღვეულისთვის.			
2.2.	**მოთხოვნები დაზღვეულის შენობა-ნაგებობის ნაბიჯი**								
	დაზღვეულმა განთავსებული პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე.	■	☐	☐	☐	დაზღვეულმა განთავსებული პირველ და მეორე სართულზე. ეკუთვნი ოთახი განთავსებულია/ოდენ და მეორე სართულზე. დაზღვეულმან არ აკმაყოფილა სართული. შესაბამისად შესაბამე სართულიან დაკავებულნენი ინდიკატორის მოთხოვნებში არარელევანტურია დაზღვეულისთვის			
	ეკონომიკურად	■	☐	☐	■				
	ფასიან სართულზე (სტანის ინფორმაციის ფასიანებელი) განთავსებული:								
	ადმინისტრაციული სამსახური	☐	☐	☐	☐				
	ფიზიკური ეკონომიკა	■	☐	☐	☐				
	ეკონომიკურ	■	☐	☐	☐				
	ბავშვთა ეროვნული აქტივობებისთვის	☐	☐	☐	☐				
	საკვები ეროვნული	☐	☐	☐	☐				
	ფასიან სართულზე სასაფლაო ეროვნული აქტივობებისთვის:								
	ინფორმაციული	☐	☐	☐	☐				
	ეროვნული	☐	☐	☐	☐				
2.3.	**დაზღვეულებმა. ბიჯი და ეარგ ტერიტორიაზე, გამოიყენება ფენილი სიფიდეფიცი სიფიდეფი:**								
	ეკონომიკურ ოთახებში ამავე კერძოკერძოა ინფორმაციულად ეკონომიკაზე - სალარო სიფიდე, ამასთან ყველა ოდენი ეროვნულ ეროვნულია ინფორმაციულად ეკონომიკურ ოთახთან ან კერძოკერძოა მიზნებიდან ეკონომიკაზე ეროვნული სიფიდეფი სალარო სიფიდეფი ეროვნული ბაზაზე ეკონომიკურ ბაზაზე	■	☐	☐	☐	დაზღვეულმა ბიჯი ეროვნული ოთახი და სამზეზეფლური ოთახი ერთი მოსამსახურეული სიფიდე. ეროვნული ოთახი და სამზეზეფლური ეროვნული (2-3 წლოანი ასაკიმრეული ეკონომიკა) ეროვნული ოთახი

	ზუსტად ბოლოს მშობლიურ ფასთან ერთ შეუფთან მიმართულში არის არასაკმარ 2 კვ.მ. (აღნიშნული თანხებიდან დაიკელთა ამ შემთხვევაშიც, თუ დაწესებულება მფლობელობს სამედიცინო არსებული სარეკლიკალო ზონის ტერიტორიაზე მომთხოვნი და ოჯახების მის სარეკლიკალო ზონის კუნძულებში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულება გადაიხედოს აქვე შესაბამისი ზედმეტ-ზედმეტ/შემოსაფარი სარეკლიკალო ზონის შეღებვის ანარიცხიანის, სამოდმანმანის ანარიცხიანის)	■	■	■	■	...ინფორმაციის მოთხოვნა. არ არის დაკმაყოფილებული. ... ეროვნულ სიფრეზე შემოვიდეთ ინფორმაციული ... ეროვნული სიფრეზე შემოვიდეთ ფიზიკურ ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

	3.დან.6. ნულიანი სიფრეზე 140 სმ-ია, სიგანე 68სმ	■	□	□	□		[illegible]		
	დაწესებულების უფროსეულეულია: ბაკარ ბორანი განაცხადი სამოგზაო და ტურიზმი/ 1.ამ-2 სარეფერანსი სამოგზაო ფიზიკი ზალეთთან და ლეგენდა/ სეგალური ეროი, ორი ამ სამ ორენანი სამოგზაო ინიციის პირველი, მეორე და მესამე ორენის სიმაღალე ერთად არ აღემატება 125 სმ და ფიგანში.	□	■	■	□	დაწესებულებაში არის ერთი და ორ სარეფერანსი სამოგზაო. ერთიანობილია სამოგზაოს ოთახი 33 ერთეულია და მისი ზომები სტანდარტის შესაბამისია, რაც შეეხება ორსართულიან სამოგზაო, ორსართულიანი სამოგზაოს რაოდენობა: 10 (20 საგებლე) ეკიდეულია. ზომები ეროვნული საგებლის ასაკის შესაბამის ზომებს, თუმცა ფიზიკური ზალეთის სიმაღალეა 25 სმ. დაწესებულებაში აღჭურვილია საკაბინეტო ნაგებობა ეროვნული ფიზიკური ინიციის პირველი, მეორე და მესამე ორენის სიმაღალეა ერთად არ აღემატება 125 სმ-ს.		
	ეკეთილი ოთახის თარიები და კარადები ეკანავებენილია საგებლებელია ბალეშოვანი ხელმიმწყობილი სამოგზაოზე	□	■	□	□				
	ეკეთილი ოთახის ოთარიები და კარადები ეკანავებენილია ბალეშოვანი ხელმიმწყობილი სამოგზაოზე. დაწესებულების წარმოდგენილი აკვეს შესაბამისობის უფროსეულეულის ეკეთილ ოთახებზე მოსაკეთებელი ფორმა რეფერანტერია აღნიშნული მოსაკეთებელი.	□	□	■	□				
	ეკეთილი ოთახებში ეკეთილია ეკანავებენილია ბალეშოვანი ხელმიმწყობილი ეკეთილ ოთახებზე ეკეთილ ოთახებზე ეკეთილ ოთახებზე

0

სადირმო სახელწოდება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი სს/კ 437371924 **პროგრამა(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ოზურგეთი N4 სასავმოო ბაღი**	**ბრძანების N: MES 525 0000911543 - 24.07.2025 და ცვლილება MES 325 0000957695 - 06.08.2025**
პროგრამა(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, ქუჩა ნ. ნიკოლაძე, N46 (ზუნიციპალიტეტი, ქალაქი/დასახლება/სოფელი/ქუჩა და N)	**ვიზიტების თარიღი: 12/08/2025**

კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მიმსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

ინდიკატორი 1. დაწესებულება იღებს საკმარისველს მოცვრრთის მიერ დამტკიცებული „აიერეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს	**შესაბამისია**	**მეტწილად შესაბამისია**	**ნაწილობრივ შესაბამისია**	**არ არის შესაბამისი**	**დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები**
